

**კანდიდატის შეფასების მეთოდოლოგია**

გასაუბრება (უნარები) ფასდება შეფასების კრიტერიუმებით და მიენიჭება ქულები (1-30) შეფასების ქულათა სისტემის კომპონენტებით (min. ქულა 22), რომლითაც დგინდება დასაკავებელ თანამდებობასთან კანდიდატის შესაბამისობა

*მომზადებულია: ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება*

**გასაუბრების (უნარები) შეფასების კრიტერიუმები:**

კანდიდატის კომპეტენციის პოზოციასთან შესაბამისობის დადგენა;
კითხვების სწორად გაგება და გააზრება; პასუხების თანმიმდევრულობა და კონკრეტიკა;
დისკუსიის, ანალიზის და დასკვნების არგუმენტირებულად დასაბუთება და დაცვა;
გამართული მსჯელობა და თავდაჯერებული საუბარი;
მოტივაცია, მერიის საქმიანობის პრინციპების გაზიარება

შეფასება	გასაუბრება (უნარები) - შეფასების კომპონენტები (დანართი 2;)
1 - 3 ქულა	ვერ პასუხობს დასმულ შეკითხვებზე; ვერ მონაწილეობს დისკუსიაში; კანდიდატის უნარ-ჩვევები (კომპეტენცია) სრულიად არაადამაკმაყოფილებელია.
4 - 6 ქულა	უჭირს დასმულ შეკითხვებზე პასუხი და აზრის ჩამოყალიბება; უჭირს დისკუსია, არ შეუძლია საკითხებზე მსჯელობა; კანდიდატის უნარ-ჩვევები (კომპეტენცია) არაადამაკმაყოფილებელია.
7 - 9 ქულა	კანდიდატს შეუძლია მხოლოდ მწირი ინფორმაციის სწორად გადმოცემა; უშვებს არსებითი ხასიათის შეცდომებს და ტერმინოლოგია არსებითად მცდარია; კანდიდატის უნარ-ჩვევების (კომპეტენცია) დონე ძალიან დაბალია;
10 - 12 ქულა	დასმულ კითხვებზე პასუხები ნაკლოვანი და არაზუსტია; ვერ აკონკრეტებს ფუნქციებს და განმარტებები შეუსაბამოა; კანდიდატის უნარ-ჩვევები (კომპეტენცია) არ შეესაბამება მოთხოვნებს;
13 - 15 ქულა	დასმულ კითხვებზე პასუხები შეკვეცილია, უჭირს ანალიზი; ნაწილობრივ აკონკრეტებს ფუნქციებს და განმარტებები არასათანადოა; ნაკლებად აქტიურია, მოსაზრებები და არგუმენტაცია არასრულია; კანდიდატის უნარ-ჩვევები (კომპეტენცია) ადამაკმაყოფილებელია;
16 - 18 ქულა	შეუძლია დასმულ კითხვებზე პასუხი, მაგრამ უჭირს მსჯელობა; შეუძლია აზრის გადმოცემა თუმცა დისკუსიისას არ აქტიურობს; უჭირს კომპეტენციის და უნარ-ჩვევების წარმოჩენა; პოზიციასთან შესაბამისობის დონე დაბალია;
19 - 21 ქულა	დაუსაბუთებლად პასუხობს შეკითხვებს, არაარგუმენტირებულად მსჯელობს, ვერ ერთვება დისკუსიაში; ვერ ახერხებს კომპეტენციის და უნარ-ჩვევების სრულ გამოყენებას; პოზიციასთან შესაბამისობის დონე საშუალოა;
22 - 24 ქულა	აანალიზებს, ასაბუთებს და იცავს საკუთარ მოსაზრებებს; ერთვება დისკუსიაში, მსჯელობს ზუსტად და ლოგიკურად; იცის სამსახურებრივ ფუნქციებთან დაკავშირებული მასალა; შეუძლია კომპეტენციის და უნარ-ჩვევების გამოყენება და წარმოჩენა;
25 - 27 ქულა	სრულად და კონკრეტულად პასუხობს დამატებით შეკითხვებს; შეუძლია თავის წარდგენა, დასკვნები ლოგიკური და არგუმენტირებულია; აქტიურად ერთვება დისკუსიაში, კვალიფიციური და კომპეტენტურია; ინიციატივიანი და მოტივირებულია, ფლობს საჭირო უნარ-ჩვევებს; იცნობს და იზიარებს კორპორაციულ სტანდარტებს, შესაბამისი კანდიდატია;
28 - 30 ქულა	ლოგიკურად და ამომწურავად პასუხობს დამატებით შეკითხვებს; აქტიურად ჩართულია დისკუსიაში, კვალიფიციური და კომპეტენტურია; შეუძლია მოსაზრებების დასაბუთება და არგუმენტირებული დაცვა; შემოქმედებითი, ინიციატივიანი და მოტივირებულია, ფლობს საჭირო უნარ-ჩვევებს; იცნობს და იზიარებს კორპორაციულ სტანდარტებს, იდეალური კანდიდატია;